

2018

30 დეკემბერი

#1



ARCHEOLOGIA
არქეოლოგია

არქეოლოგია

ევროპის უნივერსიტეტის
აკადემიკოს ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის
ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი

რომაული იმპორტი ქართლის (იბერიის) სამეფოში

თემუხ ბიბილური

ფონდების მთავარი მცველი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო
სამხატვრო აკადემიის მუზეუმი, საქართველო

temurbibiluri@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიაში, არქეოლოგიის მასალებზე დაყრდნობით, განხილულია საქართველოსა და რომის იმპერიას შორის ასხეული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები. მათი მხავადმხივ გამოჩენილი უსივრცეობა აჩვენებდა ასახული ქართულ, ბეჩინურ და დათინუხენოვან მატიანეებში, ქრონიკებსა თუ ეპიგრაფიკულ მასალებში. ცხადია, წეხილობით წყაჩოებთან ერთად, ამ ოხ ქვეყანას შორის ხანგძლივი უსივრცეობის ნათელი დადასტუებაა საქართველოში მიკვდული არქეოლოგიური არგეფაქტებიც. საკითხის აღსაქმედად, სტატიაში წაჩმოდგენილია ქართლის სამეფოს გეოგოგიაზე აღმორენილი რომაული იმპოგის გამოჩენილი ეგზემპლარები და ჩამდენიმე მნიშვნელოვანი ჯგუფი. საყუჩადლება, რომ რომაული იმპოგის არქეოლოგიურ დადასტუება, როგოგც დედაქალაქ დიდ მცხეთაში (ქალაქის აკოპოლისი – აჩმაცინე-ბაგინეთი, პიგიახშების დასახლება აჩმანისხევეში, ხედოსანთა უბანი კახისისხევეში, სვეტიცხოვლის მიმდებარე გეოგოგია, საერთო საქალაქო სამაჩოვანი სამთავოს ვედზე და ა.შ.), ასევე, სამეფოს ადმინისტრაციულ ერთეულებისა (კდდეეთი, ბოხი, აჩაგვისპიხი, მოდინახე, აჩაგვისპიხი, ეჩწო, ზლუდეხი) და მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკური (უხბნისი, ჟინვადი...) ცენტრებში; ცადკული ნივთები ცნობილია სხვა პუნქტებიდანაც (ალაიანი, ნიჩბისი, ახმეგის ახადება, აგოცი...). სავაჭრო გზების ასხეობის და ხანგძლივი, ინტენსიური ფუნქციონირების თვადსახისით აუცილებლად გასათვადისწინებელია მგკვიხისა და აჩაგვის ხეობებზე გამოვდენილი ასობით სხვადასხვა დანიშნულების ნივთიც.

მხავადფეხოვან არქეოლოგიური ნივთიეი მასადაზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართლის სამეფოს სიძლიეე, მისი მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური დონე და გემოვნება გახდა სავაჭრო ვაჭრობის გააქტიუების ერთ-ერთი მთავარი საწინდახი.

საკვანძო სიტყვები: არქეოლოგია, რომი, იბერია, „დიდი მცხეთა“, იმპორტი

საქართველოსა და რომის იმპერიის ურთიერთობები რამდენიმე ასწლეული გრძელდებოდა და გამოირჩეოდა მრავალმხრივობით, რომელთა შორის თვალშისაცემი იყო სამხედრო-პოლიტიკური მახასიათებელი. თუმცა, საკითხში ოდნავ ჩაღრმავებისას დავინახავთ, რომ ორ ქვეყანას შორის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სხვა სახის, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები.

აღნიშნულმა ურთიერთობებმა ასახვა ჰპოვა ქართულ, ბერძნულ და ლათინურ-ნოვან მათიანეებსა, ქრონიკებსა და ეპიგრაფიკულ მასალაში. საკითხის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არქეოლოგიურ მასალას, მათ შორის, საქართველოში მიკვლეულ რომაულ იმპორტს.

საზოგადოდ იმპორტისა და, კონკრეტულად, ჩვენში აღმოჩენილი რომაული ნაწარმის კვლევისადმი, არაერთი ყურადსაღები ნაშრომია მიძღვნილი. ცხადია, წინამდებარე წერილს არა აქვს ამ მიმართულებით რაიმეს ახლის თქმის პრეტენზია. მიზანი გაცილებით მოკრძალებულია – გავაცნო საქართველოს წარსულით დაინტერესებულ მკითხველს, გარე სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობის ერთი მხარე.

მასალის სიმრავლის გამო, ვერ შევძლებ მოცულობით მცირე მიმოხილვაში, შევეხო ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული იმპორტის სრულ მასივს. შევეცდები, დაინტერესებულ მკითხველს გავაცნო რომაული იმპორტული მასალის მხოლოდ გამორჩეული ეგზემპლარები და რამდენიმე მნიშვნელოვანი ჯგუფი.

მიმოხილვაში ვერ მოხვდა რომის იმპერიაში დამზადებული ის ნივთები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე რომაული სამხედრო შენაერთების ყოფნის კვალს ასახავენ. ეს, მეტად საინტერესო საკითხი, სხვა თემის საგანია.

ქართლის სამეფოში რომაული იმპორტის უადრესი ნიმუშები ძვ. წ. II-I სს. განეკუთვნება და წარმოდგენილია ბეჭდის შესამკობად განკუთვნილი იტალიკური და რომაული ჭრილა ქვებით [9: გვ. 14, 17, 18]. საყურადღებოა, რომ სამივე გემა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში (ს. ბორსა და საციხურში).

ქრონოლოგიურად შემდგომი ჯგუფი მოდის ახ. წ. I საუკუნეზე, როდესაც რომსა და ქართლის სამეფოს შორის აქტიურდება სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა. იბერიაში ესაა მეფე ფარსმან I ზეობის დრო. ფარსმანისა, რომელმაც ქვეყნის სიძლიერესა და პოლიტიკურ ამბიციებს შესწირა საკუთარი ძმა მითრიდატე და ძე რადამისტი. ამ უკანასკნელის ტრაგიკული ისტორია, ხატოვნად აღწერილი რომაელი ქრონისტის ტაციტუსის მიერ, საფუძვლად დაედო არა ერთ ფერწერულ, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნაწარმოებს, მათ შორის გეორგ ჰენდელის ცნობილ ოპერას „რადამისტო“.

ახ. წ. I საუკუნიდან სავაჭრო ურთიერთობები რომთან აქტიურდება და ეს პროცესი განუხრელად იზრდება ახ. წ. II-III სს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, სწორედ დროის ამ მონაკვეთზე მოდის გაცხოველებული სამხედრო პოლიტიკური და შესაბამისად, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც ორ ქვეყანას შორის. შემოტანილი საქონელი გამოირჩევა არა მარტო რაოდენობით, არამედ მრავალფეროვნებითაც – ჭრილა ქვებს დაემატა მინის, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, მათ შორის, საკულტო დანიშნულების (ბატილუმები, პატერები), სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი (ლანგრები, ფიალები, კოვზები, ჩამჩები, კათხები, სურები, თასები, იგივე პატერები...), სამკაულები და სამშენისები (ჭრილა ქვები, ბეჭდები, მძივები, მშვილდსაკინძები და ა.შ.), სამელნეები და სტილოსები; ცხადია, სავაჭრო-ეკონომიკური აქტივობის აუცილებელი ელემენტი – მონეტები, დაფიქსირებული ნა-

მოსხლარებისა და სამაროვნების არქეოლოგიური კვლევისას; და სამონეტო განძები, ჩაფლულ-გადამალული შიშინანობისა თუ, სხვა რამ მიზეზის გამო...

ქართლის სამეფოს სამეფო კარის და სოციალურად მათთან ახლო მდგომი ფენების წარმომადგენლები, ისევე მიიღებოდნენ ფუფუნებისაკენ, როგორც რომის იმპერიისა თუ პართიის მმართველი ფენები. ცხადია, მათ აღარ აკმაყოფილებდათ ადგილობრივ ოსტატთა ნახელავი და ისინი პართიისა და რომის იმპერიის საყოველთაოდ აღიარებულ ცენტრებში დამზადებულ ნივთებს უკვეთავდნენ. რიგ შემთხვევაში, ამას ინდივიდუალური შეკვეთების ხასიათიც ჰქონდა. შიდა და გარე ვაჭრობის გზით შეძენილ ნივთებს უნდა დავემატოთ რომისა და პართიის სამეფო კარისა და დიდგვაროვნებისაგან დიპლომატიური გზით მიღებული საჩუქრები, აგრეთვე საგარეო ომებისას მოპოვებული ნადავლი...

თავის მხრივ, სამეფოს პროვინციების მცხოვრებნიც მაქსიმალურად ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ დედაქალაქელებს ცხოვრების წესით. ქართლის სამეფოს ახ. წ. I – IV სს. სამაროვნებზე დაფიქსირებული არქეოლოგიური მასალის შესწავლით ირკვევა, რომ ეს მათ მეტ-ნაკლები წარმატებით გამოდიოდათ.

ყურადღებას იქცევს აღმოჩენების ტოპოგრაფია – ფაქტობრივად, რომაული იმპორტი ფიქსირდება სამეფოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც დედაქალაქ დიდ მცხეთაში (ქალაქის აკროპოლისი – არმაზციხე-ბაგინეთი, პიტიახშების დასახლება არმაზისხევში, ხელოსანთა უბანი კარსნისხევში, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორია, საერთო საქალაქო სამაროვანი სამთავროს ველზე და ა.შ.), ასევე, სამეფოს ადმინისტრაციულ ერთეულებისა (კლდეეთი, ბორი, არაგვისპირი, მოდინახე, არაგვისპირი, ერწო, ზღუდერი) და მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ (ურბნისი, ჟინვალის...) ცენტრებში; ცალკეული ნივთები ცნობილია სხვა პუნქტებიდანაც (ალაიანი, ნიჩბისი, ახმეტის ახალდაბა, ატოცი...).

აღნიშნული არტეფაქტები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. ვაჭრობის გზით შემოსული; 2. დიპლომატიური ეტიკეტის თანმდევი ნივთები. ნაკეთობების გარკვეული ოდენობა, ცხადია, საგარეო ომების დროს, ნადავლის სახით უნდა იყოს მოხვედრილი ჩვენში. თუმცა მათი გამორჩევა საერთო მასიდან, საკმაოდ რთულია, თუ შეუძლებელი არა.

რომის იმპერიიდან შემოტანილი ნაწარმი წარმომავლობის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფში ერთიანდება: იტალიკური (უპირატესად სამხრეთი რაიონებიდან), რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან და საკუთრივ რომიდან მომდინარე ნამუშევრები. არტეფაქტების გაცილებით მცირე რაოდენობა რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში მოქმედ სახელოსნოებშია დამზადებული (გალია, რეინის მხარე).

რომაული იმპორტის განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან ვერცხლისაგან დამზადებული ნივთები. მათგან უდიდესი ნაწილი, ყოველდღიური გამოყენებისაა. სამეფოს ტერიტორიაზე მიკვლეული ვერცხლის ჭურჭლის უდიდესი ნაწილი დამზადებულია ძალზედ მაღალი ხელოვნებით და რაც მეტად საყურადღებოა, მათი ნაწილი მაინც, შექმნილია არა პროვინციებში, არამედ იმპერიის დედაქალაქ რომის სახელოსნო ცენტრებში.

რომაული ვერცხლის ნაწარმიდან მრავალფეროვნებით გამოირჩევა ლანგრები. დღეისათვის ამ ტიპის ჭურჭელი ცნობილია დიდი მცხეთის არმაზციხე-ბაგინეთისა და არმაზისხევის უბნებიდან, სამთავროს ველზე არსებულ საქალაქო სამაროვნის სამხრეთი უბნიდან, სადაც კრძალავდნენ არისტოკრატის უმაღლესი ფენის წარმომადგენლებს: ზღუდერის (ქარელის მუნიცი.), ახალი ჟინვალის, არაგვისპირისა (დუშეთის მუნიცი.), მოდინახეს (საჩხერის მუნიცი.) და ურეკის (ოზურგეთის მუნიცი.) სამაროვნებიდან (ტაბ. I, 2-4).

ნაკეთობათა საინტერესო ჯგუფს ქმნის ვერცხლისაგან დამზადებული ენოხოსის ტიპის სურები, ძირითადად წყვილ-წყვილად დაფიქსირებული სამარხებში (ტაბ. II, 2).

დაკრძალვის წესის ეს მხარე დაცული იყო არმაზისხევში შესწავლილ ასპარუგ პიტიახშისა და დიდგვაროვან მანდილოსანთა ორ განსასვენებელში, ასევე ერწოსა და არაგვისპირის სამაროვნებზე გათხრილ პიტიახშების, ან რანგით მათთან მიახლოებულ პირთა საკრძალავებში. ვერცხლის თითო სურაა ცნობილი ბორის, ზღუდერისა და ცხინვალის სამაროვნებიდან.

შესაძლოა, მომავალში, ამ სურების საერთო რაოდენობიდან გამოიყოს ირანში, პართიასა ან სულაც ქართლის სამეფოს რომელიმე სახელოსნო ცენტრში შექმნილი ეგზემპლარები [პროფ. კ. მაჩაბლის ვარაუდით, ლითონმქანდაკებლობის აღნიშნული ძეგლები ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული. იხ. 24: გვ. 77-78].

ვერცხლის ნაკეთობებიდან გამოვარჩევ პატერას (ტაბ. I, 1), აღმოჩენილს არმაზისხევში, არისტოკრატი ქალბატონის სარკოფაგში (N 6) [2: გვ. 75-77]. პროფ. კიტი მაჩაბლის შეფასებით, „პატერა არმაზისხევიდან წარმოადგენს ერთგვარ უნიკუმს. მიუხედავად იმისა, რომ ლითონისაგან დამზადებული პატერები – იტალიკური მხატვრული ნაკეთობების ტიპური ნიმუშები – გვხვდება რომის იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში ..., ჩვენთვის ცნობილია პატერის ვერცხლისაგან დამზადების ერთადერთი შემთხვევა – არმაზისხევური [24: გვ. 36] (ხაზი ჩემია – თ. ბ.).

ქართლის სამეფოს ახ. წ. I-III სს. საკრძალავებში არაერთი სარკეა აღმოჩენილი, რომელთაგან მკვეთრად განსხვავდება სამთავროს სამაროვანზე, სამეფოს უმაღლესი სოციალური ფენის (სამეფო ოჯახის?) ორი მანდილოსნის განსასვენებელში მიკვლეული ცალი. ვერცხლისაგან დამზადებული ორბუდიანი სარკე, რომლის ზედა ნაწილზე გამოსახულია დიონისეს გამიჯნურების სცენა თეზევსის მიერ კ. ნიქსოსზე მიტოვებულ მძინარე არიადნასთან [4: გვ. 11-13]. საოცარი ხელოვნებით შექმნილი სარკე, რომაულ იმპორტს წარმოადგენს [იქვე, გვ. 13], (ტაბ. IV, სურ. 1).

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბრინჯაოს ჭურჭელი, რომლის საერთო რაოდენობიდან, რიცხოვნობით გამოირჩევა სურები. ბრინჯაოს სურები აღმოჩენილია დიდ მცხეთაში, ალაიანსა და ნიჩბისში (მცხეთის მუნიცი.), კლდეეთში (ზესტაფონის მუნიცი.), ბორში (ხარაგაულის მუნიცი.), ახალდაბაში (ახმეტის მუნიცი.). ამასთან, ნიჩბისში მიკვლეული ცალები განეკუთვნება სამხრეთ იტალიის სახელოსნოებში დამზადებული ჭურჭლის საუკეთესო ნიმუშებს, ისეთებს, როგორებიცაა პომპეასა და ბოსკორეალებში აღმოჩენილი სურები [22: გვ. 200]. იგივე ითქმის „რიყიანების სამაროვანზე“ (ს. ალაიანი, მცხეთის მუნიცი.) მიკვლეულ, ღვთაება დიონისეს რელიეფური გამოსახულებით შემკულ სურაზეც [11: გვ. 65, 66]. ამ სახის ბრინჯაოს ნივთების წარმოების ცენტრად დიდი ხანია მიჩნეულია სამხრეთ იტალია, განსაკუთრებით, კამპანიის მთავარი ქალაქი კაპუა.

ბრინჯაოს ჭურჭლის ერთ-ერთ საინტერესო ჯგუფს ქმნიან პატერები, რომელთა დანიშნულების შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი მიიჩნევენ სამზარეულო ჭურჭლად, მეორენი საკულტო დანიშნულებისად, რომელსაც იყენებდნენ მსხვერპლთშეწირვის დროს. პირადად მე ვემხრობი მოსაზრებას, რომ ამ სახის ჭურჭელს იყენებდნენ როგორც საკულტო, ასევე საერო დანიშნულებით [2: გვ. 89].

ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ პატერები სურებთან ერთად, დაფიქსირებულია არა მარტო სამარხებში, არამედ სახლებსა და ვილებში. ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად

განადგურებულ პომპეიში, ჰერკულანუმსა და სტაბიუმში. პატერა ნაპოვნია უნგრეთში, ახ. წ. I საუკუნის რომაელთა სამხედრო ბანაკში.

საქართველოში აღმოჩენილი პატერები დამზადებულია იტალიაში მოქმედ სახელოვნო ცენტრებში, რომლებსაც თავისი ნაწარმი გაჰქონდათ არა მარტო რომის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ჩვენში მათი ხშირი აღმოჩენები, დამატებითი არგუმენტია ქართლის სამეფოს გარე სამყაროსთან, კერძოდ კი, რომის იმპერიასთან მჭიდრო სავაჭრო კავშირებისა.

ფართოდ იყო გავრცელებული ვერცხლის კოვზები და ჩამჩები, სუფრის სერვირების აუცილებელი ელემენტი, მიკვლეული სამეფოს არაერთ პუნქტში. სპეციალისტები აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ ჩვენში აღმოჩენილია რომაულ სამყაროში ცნობილი კოვზის ყველა ნაირსახეობა, ერთის, „Cochlear“-ის ტიპის გარდა, რომელიც გამოიყენებოდა კვერცხებისა და მოლუსკების საჭმელად [23: გვ. 71,72; ტაბ. II]

ბრინჯაოს ნაკეთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ქურჭლით. დიდ მცხეთაში აღმოჩენილია იტალიის სახელოვნოებში დამზადებული საწერი კომპლექტები (სამელნეები, სტილოსები). ერთ-ერთ სამელნეზე დატანილი წარწერა კი გვამცნობს, რომ ის დამზადებულია კალპურნიის სახელოვნოში.

ბრინჯაოს ნივთებიდან გამოვარჩევ ახ. წ. II-III სს. ტიპოლოგიურად მრავალფეროვან მინაწერიან მშვილდსაკინძებს, დამზადებულს რომის იმპერიის დასავლეთ ოლქებში, სახელდობრ კი გალიის სახელოვნო ცენტრებში [17: გვ. 206]. საინტერესო ჩანს, მკვლევართა მიერ მათი საქართველოში გავრცელების ტოპოგრაფიისა და შემოტანის გზის დადგენაც. საქართველოში, ნახსენები ფიბულები აღმოჩენილია კავკასიონის მთისწინა ზონაში: შოშეთი (ონის მუნიცი.), ცხეთა (ცაგერისმუნ.), კლდეეთი ბორი, სტიფარზი და სოხთა (ჯავის მუნიცი.).

რომაული იმპორტის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი წარმოდგენილია მინის ნაწარმით, რომელიც გამოირჩევა როგორც რაოდენობით, ასევე დამზადების ცენტრების, დანიშნულებისა და ფორმების რაგვარობით. მინის ქურჭელი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ხელმისაწვდომი ნაწარმი, მთელს იმდროინდელ სამყაროშია ფართოდ გავრცელებული. გამონაკლისს არც იბერიის სამეფო წარმოადგენდა, სადაც ძვ. წ. მიწურულიდან ეფემერულად, ახ. წ. I საუკუნიდან კი, საკმაოდ ინტენსიურად ხდება მინისაგან დამზადებული ნივთების გავრცელება-გამოყენება. ახ. წ. I-IV სს. მინის ნაწარმი საქართველოს იმდენ პუნქტშია აღმოჩენილი, რომ მათი ჩამოთვლაც კი დიდ ადგილს დაიკავებდა. ფაქტობრივად, არ დარჩენილა სამეფოს არცერთი რეგიონი, სადაც არ აღმოჩენილა მინის სხვადასხვა დანიშნულების ქურჭელი, იქნება ეს გადასაზიდ ტარად გამოყენებული დიდ-პატარა ბოთლები (სამეცნიერო ლიტერატურაში „კუბიკოსებად“ ცნობილი) (ტაბ. III, 8-12), სუფრის სერვირების აუცილებელი ელემენტები (სურები, თეფშები, ლარნაკები და ა.შ.), სურნელოვანი ზეთებისათვის განკუთვნილი სანელსაცხებლები და მომცრო ზომის, ამფორისკის ტიპის ქურჭლები სუნამოებისათვის, სამშვენისები (ტაბ. III, 1, 3-7).

რომის იმპერიიდან შემოტანილ მინის ნაწარმში გვხვდება როგორც იმპერიის დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთი პროვინციების სახელოვნოების პროდუქცია. დასავლეთი პროვინციების, სახელდობრ, ჩრდილო იტალიაში მოქმედი მრავალრიცხოვანი სახელოვნოებიდან ერთ-ერთშია დამზადებული მოზაიკური ამფორისკი, აღმოჩენილი დედოფლის გორის (შიდა ქართლი, ქარელის მუნიცი.) სასახლის არქეოლოგიური

კვლევისას [12: გვ. 83, 84]; იქვეა დამზადებული დედოფლის გორის სასახლეშივე აღმოჩენილი ახ. წ. I ს. დათარიღებული კოლბისებური ფორმის სანელსაცხებლების ჭგუფი და ცილინდრულ ყელიანი ბოთლები [2: გვ. 86].

რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციების (გალია, რეინის მხარე) სახელოსნო ცენტრებშია დამზადებული კუბიკოსების (ზოგ ავტორთან შეხვედებით სახელწოდებას „ლაგონა“ – „ბოთლი“) უმეტესობა, აღმოჩენილი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე შესწავლილ ახ. წ. II-III სს. ძეგლებზე (დიდი მცხეთა, ზღუდერი, ურბნისი, ახალი ჟინვალი) [6: გვ. 97-99].

საერთო მასიდან განცალკევებით დგას კუბიკოსი სამთავროს სამაროვნიდან, რომელიც ძირზე დატანილი განსხვავებული დამლის გამო, მიჩნეულია იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციის – სირიის ერთ-ერთი სახელოსნოს ნაწარმად [13: გვ. 40, 43-44].

ყურადღებას იქცევს პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული მინის ნაწარმის სიმრავლე და მრავალფეროვნება, დაფიქსირებული ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთა საკრძალავებში. მათგან ნაწილი დამზადების მაღალი დონით გამოირჩევა. ასეთებია, ფიგურული მინიატურული ფლაკონები სუნამოსა და ნელსაცხებლებისათვის მცხეთიდან, რელიეფური ორნამენტით შემკული ამფორისკები, მათარის მოყვანილობის ორყურა და მრავალნახნაგა სანელსაცხებლები ურბნისიდან დამზადებული რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციის, ქ. სიდონში (სირია) მოქმედი მინის წარმოების ცენტრებიდან ერთ-ერთ უძველესში, ენიონის სახელოსნოსა და ქ. დურა-ევროპოსში [13: გვ. 11-16].

ქართლის სამეფოში ჰიგიენური ნორმების მაღალი დონის უტყუარი დასტურია რთული წყალგაყვანილობის სისტემების ნაშთების გამოვლენა არაერთ ნაქალაქარის ტერიტორიაზე. მეტიც, მარტო დიდი მცხეთის ორ უბანზე გათხრილია ახ. წ. II-III სს. ხუთი აბანო. მოზაიკურ იატაკიანი აბანოა შესწავლილი ნაქალაქარ ძალისაში...

იმპერიის აღმოსავლეთი ოლქების სახელოსნო ცენტრებში დამზადებული მინის ჭურჭლის შემოტანა ხორციელდებოდა უპირატესად საერთაშორისო სავაჭრო გზით, რომლის ერთი განშტოება მდ. მტკვრის გაყოლებით მიდიოდა კასპიის ზღვამდე. მეორე – მდ. არაგვის ხეობაზე გავლით, ჩრდ. კავკასიისაკენ. ამ გზით წამოსული რომაული იმპორტი გზადაგზა ილექებოდა დასახლებულ პუნქტებში, ძირითადი მასა კი შემოდიოდა დედაქალაქში. ეს ფაქტი, ნათლად ჩანს მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე დაკვირვებით.

რომის იმპერიიდან შემოსულ ნივთებს შორის, რაოდენობრივად გამოირჩევა ჭრილა ქვების ორივე სახეობა (კამეები, გემა-ინტალიოები), რომლებიც უპირატესად დამზადებულია იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში.

ჭრილა ქვებზე უპირატესად ბერძნულ-რომაული ღვთაებებია გამოსახული (ზევსი, ათენა, აპოლონი, არტემიდა, ტიქე-ფორტუნა, ნემეზიდა, ჰერმესი, დიონისე და ა.შ.), თუმცა გვხვდება სხვაგვარი სიუჟეტები (მცენარეული და ცხოველური სამყარო წარმომადგენლები და ა.შ.). ღვთაებების გამოსახულებიანი ინტალიოებიდან, რაოდენობრივად ჭარბობს სიუხვისა და ნაყოფიერების ბერძნულ-რომაული ღვთაება ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი გემები, რომელთა რიცხვმა დღეისათვის 30-ს გადააჭარბა. თანაც, ორიოდ გამონაკლისის გარდა, ისინი აღმოჩენილია მხოლოდ დიდ მცხეთასა და ურბნისში.

გლიპტიკის ერთობ საინტერესო ნიმუშები შემოგვინახეს ქართლის სამეფოს მთისწინა ზოლის ძეგლებმა. ასე მაგ., ს. მაგრანეთში (თიანეთის მუნიცი.) გათხრილ ქუ-

შანანთგორის სამაროვანზე შესწავლილ სამარხებში რომის იმპერიის სახელოსნოებში დამზადებული მშვენიერი ეგზემპლარები იქნა აღმოჩენილი. აქაც, სამეფოს სხვა სამაროვნების მსგავსად, არა მარტო წარჩინებულ პირთა, არამედ რიგითი მოქალაქეების საკრძალავებშიც, ჭარბობს გემები ბერძნულ-რომაული ღვთაებების გამოსახულებებით. მათგან, შესრულების უზადო ტექნიკითა და ქვაზე ჭრის გამორჩეული მანერით, განყენებულად დგანან საფირონის გემა-ინტალიო მჭდომარე ზევსისა და მუქი გრანატის ინტალიო, ღვთაება ათინას გამოსახულებებით [11: გვ. გვ. 36, 94; ტაბ. 43, სურ. 1; 20: გვ. 52]. ორივე ეგზემპლარი ხელოვნების უზადო ნიმუშია. დოქ. ქ. ჯავახიშვილის მოსაზრების მიხედვით, ათინას გამოსახულებიანი გემა-ინტალიო რომის იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის კარზე მოღვაწე ოსტატის „ჰილოსის ნახელავი იყოს...“ [იქვე].

იმპერატორ ავგუსტუსის ეპოქის კიდევ ერთი მშვენიერი ჭრილა ქვა იქნა აღმოჩენილი კლდეში ნაკვეთ ნაქალაქარ უფლისციხის არქეოლოგიური კვლევისას. გემაზე, მსგავსად მაგრანეთული ცალისა, გამოსახულია ათენა, მხოლოდ სიუჟეტია განსხვავებული [19: გვ. 64-67].

ჭრილა ქვების ამ რიგს განეკუთვნება კამეო, ზღუდერის სამაროვანზე შესწავლილი პიტიახშის რანგის საკრძალავიდან [21: გვ. 134; ტაბ. VIII, 3, 4]. „სამეფნოვან სარდიონის... ქვის ზედაპირზე გამოსახულია მოცურავე დელფინის ზურგზე წამოწოლილი ზღვის ნიმფა ნერეიდა... კამეო რომაულ ხანას ეკუთვნის და ახ. წ. II ს. გვიანდელი არ უნდა იყოს“ [იქვე. გვ. 134, 136; ტაბ. IV, 6).

ისმის კითხვა, რით იყო განპირობებული ბერძნულ-რომაული ღვთაებებიანი ჭრილა ქვების ასეთი პოპულარობა ქართლის სამეფოს საზოგადოებაში, შემთხვევითობით თუ კანონზომიერებით? როგორ შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი – სამეფოს მოქალაქეების უბრალო კაპრიზით, ჩვენში შემოტანილი სამკაულის ამ სახეობის ერთფეროვნებითა თუ სხვა რამ მიზეზით? ან, იქნებ სულაც რელიგიური მონენტით; რადგან „მფარველი ღვთაების ამორჩევა – გარკვეულწილად ბეჭდის მფარველსაც ახასიათებს“ [24: გვ. 229].

ღვთაებათა გარდა, გვხვდება ჭრილა ქვები პორტრეტული გამოსახულებებით, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიმუშია ზღუდერშივე აღმოჩენილი ოქროს ბეჭედში ჩასმული მინის ინტალიო, რომლის „პირზე გამოსახულია შუახნის ნახევრად მელოტი მამაკაცი, მხრებზე მოხვეულიწამოსასხამით...“ და ორ სტრიქონიანი ბერძნული წარწერით [24: გვ. 145; ტაბ. X, 1, 2]. მკვლევარებს უჭირთ გადაჭრით იმის თქმა, სადაა დამზადებული აღნიშნული გემა, თუმცა, თვლიან, რომ „ყველა შემთხვევაში დამუშავების ტექნიკისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ზღუდრის გემა რომაული გლიპტიკის ხელოვნებას უნდა ეკუთვნოდეს“ [იქვე. გვ. 148; ტაბ. IV, 7)

საინტერესოა, რომ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე არც თუ იშვიათია გემები არწივის გამოსახულებით, მათ შორის, რომაელი ლეგიონების ატრიბუტებით.

ორიოდ სიტყვით მინდა შევეხო დიპლომატიური ურთიერთობების გზით შემოსულ ნივთებს.

რომის იმპერია, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას ახორციელებდა გარე სამყაროსთან. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქართლის (იბერიის) სამეფო ყოფილა. არაერთგვაროვანი, ხშირ შემთხვევაში, ძალზედ დაძაბული და მტრული ურთიერთობების მიუხედავად, ორივე მხარე ცდილობდა საკითხების მოგვარებას დიპლომატიური დიალოგით. დიპლომატიური ეტიკეტის თანმდევი კი იყო (და დღესაც რჩება) საჩუქრების გაცვლა. წერილობითი წყაროების

მონუმობით, მსგავს ფაქტს არაერთგზის ჰქონია ადგილი ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

რომის იმპერია, დიპლომატიურ საქმიანობაში მიღებულ ამ ხერხს, სისტემატურად იყენებდა, რაც კარგადაა ასახული რომის საიმპერატორო კარის ოფიციალურ ქრონიკებსა თუ საისტორიო ნარატიულ წყაროებში. ასე მაგ., ქრონისტი ტაციტუსი, რომელიც ამავდროულად რომის იმპერიის ოფიციალური მოხელე იყო, თავის „ანალებში“ გვაუწყებს, რომ იმპერატორმა ბარბაროსული ტომის ბელადებს საჩუქრად ვერცხლის ლარნაკები უძღვნა [ანალები, V, 31].

პარალელების საძებნელად შორს რომ არ წავიდე, გავიხსენოთ ფარსმანის საჩუქარი იმპერატორ ადრიანესადმი და პირუკუ, რომის იმპერატორების საჩუქრები იბერიის მეფეებისადმი; ან თუნდაც, იმპერატორ ანტონინუს პიუსის მიწვევით მეფე ფარსმანის სტუმრობა რომში. უდავოა, ეს ვიზიტიც საჩუქრების გაცვლის გარეშე არ ჩაივლიდა.

დიპლომატიური საჩუქრების გზით შემოსული ნივთების გამორჩევა იმპორტის საერთო მასიდან, ან თუნდაც საბრძოლო ნადავლიდან, საკმაოდ რთულია. თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ნივთის მიკუთვნება დიპლომატიური ძღვენისადმი ეჭვგარეშეა.

უდავოდ საჩუქარია ქართლის პიტიახშ (=ერისთავს) ასპარუგის საკრძალავში მიკვლეული ვერცხლის ფიალა რომის იმპერატორ ადრიანეს უახლოესი მეგობრის ანტინოეს პორტრეტული გამოსახულებით [2: გვ. 23; ტაბ. I, 3].

აღნიშნული ფიალა წარმოადგენს იმპერატორის, ან მაღალი რანგის რომაელი დიდმოხელისაგან, მეფის შემდგომ ქართლის სამეფოს უმაღლესი სახელისუფლო პირისადმი გაკეთებულ საჩუქარს [7: გვ. 42; 25: გვ. 26]. უფრო გასაგები რომ გახდეს ამ კონკრეტული საჩუქრის არსი, მკითხველს მოკლედ შევახსენებ ანტინოეს პიროვნების შესახებ.

ბითვინიელი ყმანვილი, იმპერატორ ადრიანეს ფავორიტი ანტინოე, ტრაგიკულად დაიღუპა 130 წელს მდ. ნილოსში. მისმა დაღუპვამ იმდენად შეძრა იმპერატორი, რომ ბრძანა ანტინოეს გაღმერთება, მის სახელზე მონეტების მოჭრა და მისი გამოსახულებიანი მედალიონების ჩამოსხმა. მზადდებოდა სხვადასხვა სახის პორტრეტული ჭურჭელი ანტინოეს გამოსახულებით, რომელიც აუცილებელი საჩუქრების კატეგორიაში შედიოდა.

განსახილველი ჯგუფის ნივთებიდან გამოირჩევა ვერცხლის თასი არმაზციხე-ბაგინეთში მიკვლეულ მეფის ასულის საკრძალავად ცნობილი სარკოფაგიდან [5: გვ. 59; 23: გვ. 48-52].

თასის ოქროფერილ შუაგულში დატანილია მედალიონი, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის (ახ. წ. 161-180) პორტრეტით პროფილში (ტაბ. I, 4). მარკუს ავრელიუსი ისტორიას შემორჩა არა მარტო როგორც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, არამედ სტოიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი. მისი საყოველთაოდ აღიარებული ფილოსოფიური ტრაქტატი „ფიქრები“ (ასე იწოდება ქართულ თარგმანში), გასული საუკუნის 70-ან წწ. ითარგმნა ქართულად და უკვე დიდი ხანია იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

არმაზციხე-ბაგინეთში აღმოჩენილი ვერცხლის ლანგარი, პროფ. კიტი მაჩაბლის შეფასებით, რომის საიმპერატორო კარის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია და, რომის წარმომადგენს რომსა და საქართველოს შორის, ტრაიანესა და ადრიანეს დროს დაწყებული ურთიერთობების გაგრძელების თავისებურ დადასტურებას [23: გვ. 52].

მარკუს ავრელიუსის ზეობის წლები, ემთხვევა რომსა და საქართველოს შორის აქტიური და მრავალმხრივი ურთიერთობის დროს და სრულიად ბუნებრივია, რომ ლანგარი მისი პორტრეტული გამოსახულებით აღმოჩნდა სამეფო ოჯახის წევრის საკრძალავში.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ამავე კატეგორიას ეკუთვნის მცხეთაში 1920 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს მედალიონი ანტინოეს გამოსახულებით [10: გვ. 177; სურ. 5; 25: გვ. 26].

ვაჭრობისა და, განსაკუთრებით, საგარეო ვაჭრობის გასავითარებლად ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სათანადოდ აღჭურვილ-დაცული გზების არსებობა.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ფუნქციონირებდა გზები, რომელთა მნიშვნელობა სცილდებოდა ერთი კონკრეტული ქვეყნის, ან თუნდაც ლოკალური რეგიონის ინტერესებს და საერთაშორისო სტრატეგიულ სავაჭრო არტერიებს წარმოადგენდნენ. ინდოჩინეთიდან ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებისაკენ მომავალი „აბრეშუმის გზის“ სამი განშტოებიდან ერთი, ჩრდილოეთის მაგისტრალი საქართველოზე გადიოდა. საერთაშორისო სავაჭრო გზის ეს მიმართულება, სულ ცოტა, ადრეელინისტური ხანიდან (ძვ. წ. III ს.) ფუნქციონირებდა, რაზეც თვალნათლივ მიუთითებს მდიდარი არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილი გზის მთელ გაყოლებაზე. აღნიშნული გზის მნიშვნელობა იზრდებოდა იმ გარემოებითაც, რომ ელინისტური ხანიდან მოყოლებული მაინც, მაგისტრალის მდ. ამუდარიის მონაკვეთზე მდებარეობდნენ სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთი მდიდარი ოაზისური სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ ბაქტრია და სოგდიანა (მოგვიანებით მათ ჩაენაცვლა ქუშანის სამეფო), ხორეზმი. ცხადია, მათი მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში, კიდევ უფრო მასშტაბურს ხდიდა ამ პროცესს, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული ქართლის სამეფო. წელთაღრიცხვათა მიჯნაზე მცხოვრები ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24 წწ.), არისტობულ კასანდრიელის მემუარებზე დაყრდნობით წერს, რომ „სანაოსნო მდინარე ოქსით (ტაჯიკ. ამუ-დარიო – თ. ბ.), ბევრი ინდური საქონელი მოაქვთ ჰირკანიის (კასპიის – თ. ბ.) ზღვამდე; იქიდან ზღვით გადააქვთ ალბანეთში (კავკასიის ალბანეთი – თ. ბ.) და მდინარე კიროსისა (მტკვარი – თ. ბ.) და მომდევნო ადგილებით ჩააქვთ ევქსინის პონტამდე (შავ ზღვამდე – თ. ბ.). სტრაბონი „გეოგრაფიის“ სხვა ადგილას წერს, რომ „მდინარე ფასისზე (= რიონს – თ. ბ.) მდებარეობს იმავე დასახელების ქალაქი – კოლხების სავაჭრო ცენტრი...“. ბერძენი ენციკლოპედისტი გვაუწყებს, რომ ფასისამდე მიმავალი გზა „სარაპანისამდე (დღევ. შორაპანი – თ. ბ.) – ციხესიმაგრემდე, რომელშიც შეიძლება მოთავსდეს მთელი ქალაქის მოსახლეობა, სახმელეთოა, ხოლო აქედან ფასისამდე მდ. რიონით სანაოსნო“ [25: გვ. 472, 474].

„აბრეშუმის გზის“ აღნიშნული მიმართულება, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ქართლის სამეფოს დედაქალაქ დიდ მცხეთას, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიურის გარდა, ქვეყნის უმნიშველოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრიც იყო.

დიდ მცხეთაზე გადიოდა მეორე სტრატეგიული მაგისტრალიც, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. მტკვრის, ხოლო დიდი მცხეთიდან არაგვის ხეობაზე გამავალი საკმაოდ დიდი მონაკვეთი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა იყო, რეგიონისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო (და

არა მხოლოდ სავაჭრო) არტერიას წარმოადგენდა. ამ გზის მნიშვნელობას, საგანგებოდ აღნიშნავს მკითხველისათვის უკვე კარგად ნაცნობი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი: „არმენიიდან გადმოსასვლელები – ესაა კიროსისა და არაგას (არაგვის – თ. ბ.) ხეობები. მათი შეერთების ადგილს ზემოთ კლდეებზე ერთმანეთისაგან 16 სტადიონით დაშორებული ორი გამაგრებული ქალაქია: კიროსზე – ჰარმოზიკა (ქართული მათიანეების „არმაზციხე“), ხოლო მეორე მდინარეზე (არაგვზე – თ. ბ.) – სევსამორა (წინამური – თ. ბ.).

მტკვრისა და არაგვის ხეობებზე დიდი სავაჭრო გზის ხანგრძლივი და ინტენსიური ფუნქციონირების ნივთიერ საბუთს წარმოადგენს ასობით სხვადასხვა დანიშნულების ნივთი, იმპორტირებული აზიიდან თუ ევროპიდან და ჩრდ. აფრიკიდან, აღმოჩენილი ნახსენები მდინარეების ორივე ნაპირას და მათი შენაკადების ხეობებში შესწავლილ ნაქალაქარებსა, ნადაბებსა თუ ნასასოფლარებში. მთავარი სავაჭრო მაგისტრალების განშტოებები კარგადაა შესწავლილი მდინარეების ლიახვის, ქსნის, ალაზნისა და ივრის, ყვირილის, ცხენისწყლის ხეობებში. სწორედ ამ ხეობებში არსებულ დასახლებულ პუნქტებშია აღმოჩენილი ადგილობრივი და შემოტანილი, მათ შორის, რომის იმპერიის აღმოსავლეთ თუ დასავლეთი ოლქების სახელოსნო ცენტრებში შექმნილი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნაწარმი.

მნიშვნელოვანი სატრანზიტო-სავაჭრო გზების არსებობა და უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების გაძლიერება არ იქნებოდა საკმარისი აქტიური საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განსახორციელებლად. მსგავსი აქტივობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ქართლის სამეფოს გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის ეკონომიკური წელმაგრობა და მაღალ გემოვნება. ამ ფაქტორების გარეშე ძნელი წარმოსადგენია, თუ შეუძლებელი არა, მსგავსი სავაჭრო აქტივობა და შედეგად, ასეთი დიდი რაოდენობის მაღალი ხარისხისა და ძვირადღირებული ნაწარმის შემოტანა-რეალიზება ცალკერდ, აღმოსავლეთიდან (ინდოეთი, ავღანეთი, ქუშანის სამეფო, ხორეზმი, ირანი, პართია), ცალკერდ – რომის იმპერიიდან.

ქართლის სამეფოს ეკონომიკურ სიძლიერესა და აქ მცხოვრები საზოგადოების მაღალ კულტურაზე თვალნათლივ მიუთითებენ როგორც წერილობითი, მათ შორის ბერძნულ-რომაული წყაროები, ასევე არქეოლოგიური კვლევის შედეგები.

ქართულ და ბერძნულ-რომაულ საისტორიო ქრონიკებში, ქართლის სამეფოში არაერთი ქალაქია დასახელებული. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ანონიმმა ავტორმა, ძვ. წ. III-II საუკუნეებისათვის იცის ქალაქები სარკინე, კასპი, ურბნისი, ოძრახე, ძველი მცხეთა, არმაზი, უფლისციხე, მცხეთა [18: გვ. 329, 330].

ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომში, იმავე დროისათვის შემდეგ ქალაქებსა და ციხე-ქალაქებს ჩამოთვლის: „... წუნდა..., ოძრხე..., თუხარისი..., ურბნისი..., კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედა-ციხე სამშვილდე, და მტვერის ციხე, რომელ არს ხუნანი და კახეთისა ქალაქნი“ [16: გვ. 17,18].

ქ. ალექსანდრიაში მოღვაწე ენციკლოპედისტის (ამ ცნების აბსოლუტური გაგებით) კლავდიოს პტოლემეაიოსის (ახ. 100 – 170 წწ.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ ქართლის (იბერიის) სამეფოში ნახსენებია ქალაქები „აგინა“ (დღევ. სოფ. ძალინა), „უასიდა“ (ლოკალ. ვერ ხერხდება), „უაირიკა“ (ლოკალ. ვერ ხერხდება), „სურა“ (სურამი), „არტანისა“ (არტაანი, ან არტანუჯი), „მესტლეთა“ (მცხეთა), „ძალისა“ (სოფ. ძალისა) [7: გვ. 46].

სტრაბონი არ ასახელებს კონკრეტულ ქალაქებს (ზემოთ ნახსენები სევსამორასა

და ჰარმონიკეს გარდა), თუმცა იძლევა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ლაკონურ და ბევრის მთქმელ დახასიათებას: „მართლაც, იბერია (= ქართლის სამეფოს – თ.ბ.) დიდნილად იმდენად კარგადაა განაშენიანებული ქალაქებითა და დაბებით, რომ იქ არის კრამიტის სახურავები, საბაზრო მოედნები, და სხვა ნაგებობები, აღმართული ხუროთმოძღვრების კანონებით“ [24: წ. XI. თ. III. პ.1].

ქართლის სამეფოში ქალაქთმშენებლობის სტრაბონისეულ დახასიათებას ზურგს უმაგრებენ ქართველი არქეოლოგების მიერ, გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დღემდე შესწავლილი ელინისტურ-გვიანრომაული დროის საქალაქო ცხოვრების ამსახველი ძეგლები (დიდი მცხეთის სხვადასხვა უბანი, სამადლო-ნასტაგისი, უფლისციხე, დედოფლის მინდორი, ძალისა, ურბნისი, მოდინახე, შორაპანი, კლდეეთის, ბორის, ძევრის, ჟინვალის, არაგვისპირის, ერწოს ველის, ზღუდერის სამაროვნები ...).

სწორედ ქართლის სამეფოს სიძლიერე, მისი მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური დონე და გემოვნება იყო დროის მოცემულ მონაკვეთში, საგარეო ვაჭრობის გააქტიურებისა და ამ გზით მრავალფეროვანი ნაწარმის შემოტანის ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფაქიძე ა., საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. თბილისი 1955.
2. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა. 1. არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრები. თბილისი 1955.
3. აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. II. „მეცნიერება“. თბილისი 1978.
4. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ. წ. III საუკუნისა – აკლდამა 905. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. XI. თბილისი 1996.
5. აფაქიძე ა., ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი. ძმ. N33. თბილისი 1973.
6. ბიბილური თ., თიხის ფილასამარხები ხარის საქართველოში. საკ. დისერტ. თბილისი 1983.
7. ლომთათიძე გ., ქართველი ხალხის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I-III სს. თბილისი 1976.
8. ლომოური ნ., კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. მსკი. N32. თბილისი 1955.
9. ლორთქიფანიძე მ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III. თბილისი 1961.
10. მაკალათია ს., საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. სმმ. ტ. 4. თბილისი 1927.
11. მირიანაშვილი ნ., შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი 1983.
12. რამიშვილი რ., ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბილისი 1979.
13. საგინაშვილი მ., მინის ჭურჭელი დედოფლის გორის სასახლიდან (ახ. წ. I ს. ქართლის სამეფოს საგარეო-ეკონომიკური კონტაქტებისათვის). ძიებანი N11. თბილისი 2003.
14. საგინაშვილი მ., ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. თბილისი 1970.
15. საგინაშვილი მ., მინის „დამლიანი“ ოთხკუთხა ბოთლი მცხეთიდან. კრებ.: იბერი-

- ა-კოლხეთი, მიძღ. აკად. ოთარ ლორთქიფანიძის 75-ე წლისთავისადმი, 2. თბილისი 2005.
16. სულავა ნ., მინანქრიანი ფიბულები საქართველოში. იბერია-კოლხეთი, 4. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი. თბილისი 2008.
 17. ქართლის ცხოვრება, 1. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი 1955.
 18. ჯავახიშვილი ქ., გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები, I. გემა უფლისციხიდან. ძიებანი, 7. თბილისი 2001.
 19. ჯავახიშვილი ქ., გლიპტიკურ ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები, II. გემა ერწო-თიანეთიდან. ძიებანი, 10. თბილისი 2010.
 20. ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B. თბილისი 1982.
 21. Лордкипанидзе О., Итальянские бронзовые изделия, найденные на территории древней Грузии. СА., 4, 1964.
 22. Лордкипанидзе О., Наследие древней Грузии. „Мецниереба“, Тбилиси 1989.
 23. Максимова М. И., Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XVI-B. თბილისი 1950.
 24. Мачабели К., Серебряные фиалы из Армазисхеви (из истории античной торевтики Грузии). „Мецниереба“, Тбилиси 1970.
 25. Мачабели К., Позднеантичная торевтика Грузии (по материалам торевтики первых веков нашей эры). „Мецниереба“, Тбилиси 1976.
 26. Страбон. География в 17 книгах. перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского. Москва 1994.

ტაბულა I



1



2



3



4

ტაბულა II



12



3



4



5



6



7



8

ტაბულა III



123



4 5 6 7



8 9 10 11 12

ტაბულა IV



1



2 3 4



Roman Import in Kingdom of Kartli (Iberia)

Temur Bibiluri

The chief custodian of the funds

Apollon Kutateladze Tbilisi State Art Academi Museum, Georgia

temurbibiluri@gmail.com

ABSTRACT

The article examines the trade and economic ties between Georgia and the Roman Empire, based on archaeological materials. Their many-sided and remarkable relationship is frequently reflected in Georgian, Greek and Latin annals, chronicles and epigraphic materials (inscriptions). Besides written sources, archaeological artifacts discovered in Georgia are a clear confirmation of the long-standing connection. In order to understand the issue, the article presents notable examples of Roman imports found in the territory of Kartli Kingdom and highlights several important groups.

It is noteworthy that Roman imports have been archaeologically confirmed as the capital Great Mtskheta (city Acropolis – Armaztsikhe-Bagineti, Pityakhshebi Settlement in Armaziskhevi, of artisans District Karsniskhevi, Svetitskhoveli adjacent Area, common urban cemetery of the principality on the field and etc.), as well as in administrative centers of the Kingdom (Kldeeti, Bori, Aragvispiri, Modinakhe, Aragvispiri, Ertso, Zghuderi), and in major trade and economic centers (Urbnisi, Zhinvali ...). Separate items are known from other sites (Agayani, Nichbisi, Akhmet Akhaldaba, Atotsi ...). Given the existence and extensive use of trade routes, the hundreds of imported items found in the Mtkvari and Aragvi valleys highlight the region's active trade.

Based on various archaeological materials, we can conclude that the Kartli kingdom's power, economic prosperity and refined tastes played a major role in encouraging foreign trade.

KEYWORDS: ARCHAEOLOGY, ROME, IBERIA, GREAT MTSKHETA, IMPORT